პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი პარასკევი 11 სექტემბერი № 210 (18152) ფასი 2 კაპ.

რთველი — 81

ახალი რეკორდისათვის

მოკრიფონ და გადასამუშავებლად ჩააბარონ სულ ცოტა 800 ათასი ტონა ყურძენი — ასეთი ამოცანა დაუსახა ქართველ მევენახეებს გურჯაანში გამართულმა რესპუბლიკის მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის თათბირმა, რომელშიც მონაწილეობდნენ გადამმუშავებელ საწარმოთა ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები და მოწინავე მევენახეები.

თათქმის ყველა გამოსვლაში მკაფიოდ გამოსჩენილა აზრი: წლევანდელ უმძიმეს კლიმატურ პირობებს სოფლის მშრომელებმა შეთანხმებული, დამკვრელური მუშაობა, თავდადება დაუპირისპირეს და დაძლიეს უამინდობა. ყველას ახსოვს ზაფხულის დამდეგის შემაშფოთებელი დღეები, როცა კოისპირულმა წვიმებმა ნაცრის, ჭრაქისა და ვაზის სხვა დაავადებათა კერები გააჩინა. წვიმებს სეტყვა მოჰყვა, სეტყვას გრიგალი და წყალდიდობა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ვითარება. ამიტომაც იყო, რომ ამ ზაფხულს დიდიან-პატარიანად ყველამ ზვრებს მიაშურა არა მარტო მოსავლის, არამედ თვით ვენახების გადასარჩენად.

დიახ, წლეულს ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა ვენახისა და მოსავლის გადარჩენისათვის. და 800-ათასტონიანი მოსავალი, რომელსაც მევენახეები ჰპირდებიან რესპუბლიკას, საუკეთესოდ დაგვირგვინებს ყველა მშრომელის — პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკის თუ ტრაქტორისტისა და რიგითი მევენახის დაძაბულ მუშაობას.

თათბირზე მოიყვანეს ამ დაძაბული, მართლაცდა გმირული მუშაობის კონკრეტული მაგალითები, რომლის შედეგად მთლიანად შენარჩუნებულია მოსავალი კარდანახში, ვეჯნში, ჩუმლაყში, სანორეში, კისისხევში, ვარდისუბანში, გრემში, აფენსა და ბევრ სხვა სოფელში. და ვერაფრით იმართლებენ თავს იმავე კლიმატური და ეკოლოგიური პირობების მქონე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები თუ სპეციალისტები, სადაც სავალალოდ გამოიყურება ახლა ვენახი.

მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობაში 2 ათას ტონა მოსავალს მოელოდნენ, არადა, 300 ტონას ძლივს მიიღებენ.

იქნებ არც ღირდა ამის გახსენება დღეს, როცა საქმე ეხება მოსავლის დროულ, უდანაკარგო აღებას და გადამუშავებას, მაგრამ, თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ახლო წარსულის ამბები სერიოზულ სამომავლო გაკვეთილად უნდა იქცეს: მოვლენებს კუდში კი არ უნდა სდიო, არამედ მართო ისინი. აქ მთელი სამწვავით აღიძრა შესაძლო სტიქიური პროცესების მეცნიერული პროგნოზირების საკითხი. მეცნიერებმა უნდა განჭვრიტონ მოვლენათა მსვლელობა, მიწათმოქმედებს მისცენ ზუსტი და კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ გაართვან თავი მინიმალური დანაკარგებით ამა თუ იმ რთულ ვითარებას.

... რთველი-81! მევენახეთა უმთავრესი საზრუნავი ახლა ეს დიდმნიშვნელოვანი კამპანიაა. მთელი მათი იმედები მომავალ მოსავალს უკავშირდება. თუმცა ზაფხული ძალზე მძიმე იყო, შეუმოდგომამ მოლოდინი გაამართლა. და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მევენახეობის რაიონის ხელმძღვანელები ოპტიმისტურად ლაპარაკობდნენ შესაძლებლობებზე, გულდაჯერებით და ფხიზლად აფასებდნენ სიტუაციას, ასახელებდნენ კონკრეტულ ციფრებს. თათბირის მონაწილეებმა აქვე, დარბაზში, სახელდახელოდ შეაჯამეს ეს ციფრები და დასკვნეს, რომ მოსავალი ტოლს არ დაუდებს შარშანდელ — რეკორდულ ჭირნახულს.

უზვი მოსავლისათვის ბრძოლაში არც თუ უმნიშვნელო როლი განეკუთვნება მევენახეობის რაიონების მოსახლეობასაც, რომლის საკარმიდამო ვენახები რესპუბლიკის მოსავლის გვარიან ნაწილს მოგვცემს. წლეულს სახელმწიფოს სახსრები არ დაუშურებია საკარმიდამო ნაკვეთების მოსავლელად: უფასოდ გამოიყო შხამქიმიკატები, სასუქები, სხვადასხვა ინვენტარი. მოსახლეობაში უნდა გაჩაღდეს მასობრივი განმარტებითი მუშაობა, გაიმართოს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს, ცალკეულ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის საკარმიდამო ნაკვეთებიდან სახელმწიფოსათვის მაქსიმალური რაოდენობის ყურძნის მისაყიდად, განისაზღვროს გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

ამისათვის, რომ 800-ათასტონიანი მოსავალი რეალობად იქცეს, მევენახეებს საქმიანი, კონკრეტული დახმარება სჭირდებათ. მხურვალე მოწონება ხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივას, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს დაეხმარონ სოფლის მშრომელებს რთველის ცხარე დღეებში. მათი მოწოდება ფართოდ აიტაცეს რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივებმა. ადგილებზეც მოემზადნენ სტუდენტების მისაღებად. მაგალითად, საგარეჯოში მათ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი და კარგი საყოფაცხოვრებო პირობები ელოდებათ. ასევე კარგად და საფუძვლიანად მოემზადნენ სტუდენტების მისაღებად წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებში.,

განსაკუთრებით საყურადღებოა ტრანსპორტის პრობლემა. მაქსიმალური დატვირთვის პერიოდში მევენახეობის რაიონებს დასჭირდებათ ასობით დამატებითი ავტომანქანა როგორც მოსავლის გადასაზიდად, ისე ვენახებში ხალხის მისაყვანად, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და საქსახსოფლტექნიკა მზად არიან საამისოდ. ამ დღეებში კახეთისაკენ ავტომანქანების კოლონები დაიძვრება.

რაიონებში ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ რთველის მონაწილეებს ნაყოფიერი შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები შეუქმნან. შეშუშავებულია ყურძნის კრეფაში, გადაზიდვასა და გადამუშავებაში დასაქმებული ყველა მუშაკის მორალური და მატერიალური წახალისების ეფექტიანი ღონისძიებანი. უშუალოდ ვენახებში იქმნება სასადილოები. ავტოფარდულები მკრეფავებს ყველაფრით მოამარაგებენ. შეიქმნა სამედიცინო ბრიგადები. შემუშავდა მშრომელთა კულტურული მომსახურების გეგმა.

რთველს მომზადებული ეგებებიან მეღვინეებიც. მევენახეებმა ქმაყოფილებით შეიტყვეს, რომ პირველადი მეღვინეობის ქარხნებს შეუძლიათ 800-850 ათასი ტონა ხედლეულის მიღება-გადამუშავება. რთვლის დასაწყისისათვის რეკონსტრუირებულია და ახალი ტექნიკით აღიჭურვა დარგის დიდ საწარმოთა უმრავლესობა. მწყობრში ჩადგა საათში 20-30 ტონა მწარმოებლობის 50 ახალი ხაზი. ხელახალი აღჭურვის შედეგად ქარხნების სიმძლავრე 180 ათასი ტონით გაიზარდა.

მოსავლის კრეფის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ორგანიზაციაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ნაცადმა მართვის ავტომატიზებულმა სისტემამ „რთველმა“. თათბირის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ მის უპირატესობაში, ყოველგვარი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის, შესაძლო გართულებათა აღმოფხვრის უნარში.

რთვლის ორგანიზებული და სანმუშო ჩატარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, ყოველმა მშრომელმა თავიანთი საქმიანობის ქვაკუთხედად უნდა გაითვალისწინონ ინიციატივის ყოველნაირი მხარდაჭერა, გამონახონ რეზერვები. ვენახ — ტრანსპორტ — მარნის კონვეიერის ყოველ უბანზე. ახლა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ ყურძნის კრეფის კამპანიის დროულ და ხარისხიან ორგანიზაციულ-იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა დაირაზმონ არა მარტო სამეურნეო მუშაკები, არამედ მთელი იდეოლოგიური აპარატიც. ყოველ მშრომელს ნათლად უნდა ესმოდეს, რა წვლილი შეაქვს პირადად მას წლევანდელი ამოცანების შესრულებაში, რომელთა მიზანია არა მარტო რეკორდული მოსავლის მოწევა, არამედ მისი გადამუშავებაც.

არავინ უნდა იდგეს განზე, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ რთველი აგვირგვინებს მთელი წლის მუშაობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ლ. ზაქაიძე.

(საქინფორმი).

საძმეთ გამოარჩინა

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა მიმდინარე წლის შვიდ თვეში ერთი მილიონ 400 ათასი მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

საწარმოს ქსოვილები გამოირჩევა მაღალი ხარისხით. შვიდ მათგანს მინიჭებული აქვს საპატიო ხუთკუთხედი. მიმდინარე წელს მომხმარებლებმა ოთხი სახეობის ახალი პროდუქცია მიიღეს.

დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორთა შორის ახასელებენ მოწინავე მრთველს, კომკავშირელ რაისა ბეგლარიშვილს.

მან ვალდებულება იკისრა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალება ვადამდე, 7 ნოემბრისათვის შეასრულოს.

სურათზე: თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მოწინავე მრთველი, კომკავშირელი რაისა ბეგლარიშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხუთწლედის ვახტზე

ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია ხალის კრეფა.

ჩინებული მოსავალი მოიწიეს კოდისწყაროს მეხალეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. ამ მეურნეობის ხეხილის ბაღები 540 ჰექტარზეა გადაბმული, რომელთაგან 200 ჰექტარი მსხმოიარეა. დაგეგმილი იყო თითოეულ ჰექტარზე მოწიათ 95 ცენტნერი კოკოვანი ხალი. მეურნეობის მებაღეებმა გადაწყვიტეს ეს ციფრი 145-მდე გაეზარდათ.

მებაღეებს მოსავლის აღებაში დიდი დახმარება გაუწიეს აქაური სკოლის მოსწავლეებმა. არდადეგების დღეებში ისინი შრომობდნენ უფროსების მხარდამხარ. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მეათე კლასის მოსწავლემ — სწავლის ფრიადოსანმა, კომკავშირელმა იზა კუდუხაშვილმა.

სურათზე: კახპის რაიონის სოფელ კოდისწყაროს საშუალო სკოლის მოსწავლე იზა კუდუხაშვილი ქლიავს კრეფს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სახალხო კონტროლის დიდი ძალა

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის 3000-კაციანი კოლექტივი გეგმებს ყოველწლიურად გადაჭარბებით რომ ასრულებს და მეათე ხუთწლედში მოპოვებული წარმატებებისთვის ხალხთა მეგობრობის ორბრიგი ორგანოების დამსახურებაც არის.

დენით დაჯილდოვეს, ეს სახალხო კონტროლის ადგილობრივ ჯგუფებმა ეშმარიტებაში დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, რომ შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნული ფაბრიკის სახალხო კონტროლიორთა საქმიანობა განიხილა და სწორედ ამ მიმართულებით მოიწონა.

ფაბრიკის ჯგუფები და საგუშაგოები დიდ ყურადღებას უთმობენ ნედლეულის თუ დამხმარე მასალების ნორმების დადგენას, საწარმოო რეზერვების მობილიზებას, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას. საქმისადმი პრინციპული, უკომპრომისო მიდგომით დიდ ეფექტსაც აღწევენ. კონტროლის მასობრივი სახეობა და მუშაობაში საჯაროობის ფორმების გამოყენება კი ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საწარმოს სიმძლავრის ზრდას.

ერთი სიტყვა ამ ჯგუფის ანალიზიც გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ძალიერების განმტკიცებაში სახალხო კონტროლის სისტემის საფუძველია საფუძველი, მისი მთავარი. საერდენია ჯგუფი, საგუშაგო. გუშაგის ფხიზელი თვალი ადვილად სწვდება საწარმოს ჭირ-ვარამს, ნაკლსა თუ ხარვეზს, ამიტომ უპირველესად ის ამჩნევს და ხელს უწყობს ნაკლოვანებათა დროულ გამოვლინება-გამოსწორებას.

ამგვარად, კონტროლის სიტყვა ჯგუფების, საგუშაგოების მოქმედება საქმიანობა დიდად ეხმარება პარტიულ ორგანიზაციას და ადმინისტრაციას სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებაში, რეზერვების გამოვლენასა და უკეთ გამოყენებაში. სახალხო კონტროლიორს შეუძლია შექმნას ვითარება, რომელიც გამორიცხავს უყაირათობის, მფლანგველობის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის შესაძლებლობებს.

რესპუბლიკის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში დღეისათვის 246.996 კონტროლიორი მუშაობს. კონტროლის რეგიონალური კომიტეტების მიერ გამოვლენილი გაფლანგვებისა და დატაცებების თანხა 2.909.118 მანეთს უდრის — ეს ორი მაჩვენებელი წარმოდგენას გვაქმნის იმაზე, თუ რამდენად მახარობელია კონტროლი და რა მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს იგი.

ასეთია სახალხო კონტროლის ძალა, მისი როლი სახალხო მეურნეობაში. ამგვარად, სოციალისტურ დემოკრატიას სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ჩაბმის მრავალი ფორმა და საშუალება აქვს. ერთ-ერთი ასეთი საშუალება სახალხო კონტროლია, სადაც მშრომელთა ფართო მასები სწავლობენ სახელმწიფოს მართვას, უყალიბდებათ მოქალაქეობრივი ჩვევები, უმახვილდებათ სიფხიზლე და შეურიგებლები ხდებიან დამახინჯებებთან ბრძოლაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ბევრი საწარმოსა თუ კოლმეურნეობის კონტროლის ჯგუფი და საგუშაგო სანიმუშოდ მუშაობს, ენერგიულად ეშსახურება კოლექტივის სამეურნეო და საზოგადოებრივ ინტერესებს. მოწონებითა შორის მოწონებენი არიან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის, „სოხუმელსაწყოს“, გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის და სხვა სახალხო კონტროლის ჯგუფები.

რესპუბლიკის კონტროლის ორგანოების საქმიანობა საერთოდ კარგ სურათს იძლევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მათი მუშაობა უნაკლო იყოს.

დასამალი არ არის, რომ კონტროლის ზოგიერთი კომიტეტი, ჯგუფი თუ საგუშაგო ვერ იჩენს სათანადო აქტიურობას, არიან უმოქმედონიც. ახლა, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს, როცა შრომითი კოლექტივების წინაშე რთული და პასუხსაგები ამოცანები დგას, როცა ამ ეტაპზე სახალხო კონტროლიორებმაც თავიანთი სიტყვა უნდა თქვან, საჭიროა ხელმძღვანელმა ორგანოებმა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფასა და დახვეწაზე იზრუნონ, აამოქმედონ და გააქტიურონ სახალხო კონტროლიორები.

როგორც პარტია და მთავრობა მოითხოვენ, კონტროლის ორგანოების მუშაობის სრულყოფაში პარტიული ზრუნვა, მხარდაჭერა და მომთხოვნელობა მათი ნაყოფიერი საქმიანობის მთავარი პირობაა.

ახლა სახალხო კონტროლის კომიტეტების ძირითადი ამოცანაა აღმოფხვრან დიხაროპორცია სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში, მნიშვნელოვნად აამაღლონ ჯგუფებისა და საგუშაგოების როლი და გავლენა. სახალხო კონტროლიორმა მთელ თავის საქმიანობაში უნდა გითვალისწინოს სახალხო მეურნეობის პროგნოზები და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნები, იზრუნოს მატერიალური რესურსების მომგირნეობისათვის.

„მეთერთმეტე ხუთწლედში და შორეულ პერსპექტივებშიც სახალხო მეურნეობის და მთელი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა გახდეს ნედლეულის, სათბობის, სხვა მატერიალური რესურსების უმაცრესი მომგირნეობის, საწარმოო სიმძლავრეების, მოწყობილობის ყველა ძირითადი ფონდის რაციონალური გამოყენების პრობლემის გადაწყვეტა“. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების აქტივის კრებაზე ნათქვამი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის ეს სიტყვები დიდ მოვალეობას აკისრებს სახალხო კონტროლის მუშაკებს და სახელმძღვანელოა მათს საქმიანობაში.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ კანონის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც კონტროლის ორგანოების საქმიანობას განსაზღვრავს, არის ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, უყაირათობის, მფლანგველობის, სახელმწიფოს მოტაცების, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლა.

პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნები უნდა გაითვალისწინონ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა, თავიანთი საქმიანობა ისე წარმართონ, რომ ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის შემდგომ ამაღლებას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას.

„ამიერკავკასიის წითელდროშოვანი“

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სახელოვანი 60 წლის თავისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა წიგნი „ამიერკავკასიის წითელდროშოვანი“. ეს არის სამხედრო-ისტორიული ნარკვევი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბრძოლო გზის შესახებ. ჯარების საბრძოლო მოქმედების მრავალრიცხოვანი მაგალითით გაშუქებულია ამიერკავკასიელ მეომართა მხედრული გმირობის სიდიადე, მათი ვაჟკაცობა, ვირობა, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება. წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ ამრავლეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბრძოლო ტრადიციებს სამშობლოს სამხრეთი საზღვრების შეიარაღებულ დამცველთა ახალნდელი თაობა.

წიგნის სარედაქციო კოლეგიაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულაშვილი, ოლქის სარდლობის წარმომადგენლები. (საქინფორმი).

მეცხოველეობაკ დამკვრელური ფრონტია

სათიბს ხელი ახლა სჭირდება

შემოდგომა ძალაში შედის. პალასტომის ტბისა და მდინარე ფიჩორის თვალუწვდენელ ნაპირებზე ამბინებული სათიბები ამრეშებულია. ლამის არის ბალახი გადამწიფდეს კედეკ. ლანჩხუთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გონივრულად იყენებენ ხელსაყრელ ამინდებს და ქუდზე კაცი გამოდის პირუტყვისათვის ამ ნაყოფიერი საკვების დასამზადებლად.

ჩოჩხათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე კ. სარჯველაძე) საკვებმომპოვებლები რაიონში პირველნი შეუდგნენ ფიჩორის ნაპირებზე თივის დამზადებას და გამოტანას, ფერმებში დაანბინეს 120 ტონაზე მეტი თივა, შარშანდელთან შედარებით 170 ტონით მეტი სენაჟი დაამზადეს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სილოსის ჩადება, ქების ღირსია საკვებმომპოვებელთა ის ბრიგადები, რომლებსაც გენო გუჯაბიძე და გონერი ტიკარაძე ხელმძღვანელობენ.

მამათელმა მეცხოველეებმა კარგად იციან ყუთათინი საკვების ყადრი, მათ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 250 ტონით მეტი სენაჟი და 500 ტონით მეტი სილოსი მოიმარაგეს.

საკვების დამზადების საქმეს ასევე გულისყურით ეკიდებიან სოფელ აკეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ღლონტი) და სოფელ ნიგოეთის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. ფიარცხალაშვილი) საკვებმომპოვებლები.

სამწუხაროდ, ბევრგან სავალალო ფაქტებიც ვნახეთ. ლანჩხუთის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს თაოვარ აგრონომ კ. ჯორბენაძესთან ერთად დავთვალიერეთ სუფსის კოლმეურნეობის დიდი სათიბები პალიასტომის ტბისკენ მიმავალი სამანქანო გზის ორივე მხარეს, მაგრამ მთიბავი არსად ჩანდა. სუფსელ მეცხოველეებს კი თივის დამზადების წლიური დავალება მხოლოდ 3,5 პროცენტით აქვთ შესრულებული. ისიც უნდა ითქვას, რომ სენაჟის ჩადების საუკეთესო ვადები გავიდა, აქ კი ეს საკვები საგეგმოს მხოლოდ 23 პროცენტია მომარაგებული. სილოსის დამზადება ჯერაც არ დაუწყიათ (შარშან ამავე პერიოდისათვის ჩადებული ჰქონდათ 1500 ტონა).

რას ელოდებიან- მეცხოველეობის დარგის ბრიგადირები ნ. გოგიჩაიშვილი, ნ. ხომერიკი, ს. ჯიჯიეშვილი ან კიდევ 30-კაციანი საკვებმომპოვებელთა ბრიგადა (ბრიგადირი მ. როყვა), ნეტავ, სხვა უფრო საშორი რა საქმეები აქვთ ამ გახურებულ მწვანე ალოობაში?! აქ საკვების დამზადების საქმეს ბევრი კოლმეურნე არიდებს თავს. 34 შრომისუნარიან კოლმეურნეს შრომის საგალდებულო მინიმუმიც არა აქვს გამომუშავებული, ხოლო 7 კოლმეურნეს საერთო საქმისათვის წლეულს თითიც არ გაუნძრეგია.

კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე ა. ტულუმი) სათანადო დასკვნა არ გამოუტანია შარშანდელი მწარე გაკვეთილიდან, როცა მოოვლელობითა და შიმშილით 54 სული პირუტყვი გაუწყდათ. სწორედ დარგისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგია, რომ აქ მეცხოველეობის ყოველ სამეურნეო წელს დიდი ზარალით ამთავრებენ.

სანაქებოს ვერაფერს ვიტყვით ვერც სოფელ ჯურუყვათის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. აფხაზავა, პარტიული კომიტეტის მდივანი ი. კვაჭაძე, ფერმის გამგე გ. ნინაძე) მეცხოველეებსა და საკვებდამამზადებლებზე. აქ საგეგმო 400 ტონიდან კილოგრამი თივაც არა აქვთ დამზადებული, არც სენაჟი ჩაუდგიათ. ჯერჯერობით მხოლოდ ქალალდზეა ვალდებულებით ნაკისრი 1500 ტონა სილოსი.

უკეთესად არც სოფელ ღრმაღელეს სამეურნეოში აქვთ საქმე (დირექტორი ი. გოგუა), პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ჩხაიძე, ფერმის გამგე ნ. ლაკერბაია), ღრმაღელეებმა ხელიდან გაუშვეს საკვების დამზადების საუკეთესო ვადები, დღემდე თივის, სენაჟის და სილოსის დამზადება არ დაუწყიათ. ასე ხელცარიელი ხვდებიან მოახლოებულ ზამთარს!

შემოწმებამ ისიც ცხადყო, რომ მეცხოველეობის ზოგიერთი ფერმა შესაკეთებელია, მაგრამ ამას თავს არიდებენ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს (თავმჯდომარე ვ. ხოთარიშვილი) და ცხაკაიას № 2 სამშენებლო ტრესტის (მმართველი ო. ცვირაია), ლანჩხუთის სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ე. გვილაძე). მშენებლები, რომლებსაც მინდობილი აქვთ ფერმების აშენება და კეთილმოწყობა. მშენებელთა ხელი აკლია აგრეთვე სუფსის კოლმეურნეობის ბალახის ფხვნილის დამამზადებელ საამქროს, მეცხოველეობის კომპლექსს, ნიგვზიანის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მშენებლობას და კიდევ სხვა ობიექტებს.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საუკეთესო პერიოდი ხელიდან გვეცლება. ლანჩხუთელმა მეცხოველეებმა გამოვლენილი ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ლე ზუანი სამშობლოში გაემგზავრა

9 სექტემბერს სამშობლოში გაემგზავრა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლე ზუანი, რომელიც მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა მოსკოვში. მასთან ერთად გაემგზავრა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტო ჰიუ.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე თვითმფრინავთან ერთ ზუანის გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მეათე ხუთწლედში დიდი აღმავლობით იმოქმა, საგრძნობლად გაზარდა პროდუქციის გამოშვება და მკვეთრად გაუმჯობესა მისი ხარისხი. დიდი წარმატებებია მოპოვებული დარარჩენი ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. ამ მიღწევებისათვის ფაბრიკის კოლექტივი ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოდა.

ეუშინ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ფაბრიკის კოლექტივისათვის ამ საპატიო ჯილდოს გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ფ. ილაშვილმა.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარაძე, რომელმაც გულთბილად მიულოცა საწარმოს კოლექტივს მთავრობის საპატიო ჯილდო, უსურვა წარმატებები შრომაში და ბედნიერება ცხოვრებაში. დამსწრეთა ტაშის გრიალში მან ხალხთა მეგობრობის ორდენი საწარმოს დროშას მიაბნია.

დიდი შრომითი გამარჯვება მკერავებს მიულოცეს პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. სარალიძემ, საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ლაკიამ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. კურტანიძემ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. გამცემიძემ. ფაბრიკის კოლექტივს მიესალმა და ჯილდო მიულოცა აგრეთვე ამავე საწარმოს მოწინავე ახალგაზრდა მუშების ჯგუფმა.

საზეიმო სხდომაზე გამოსულმა ფაბრიკის დირექტორმა ნ. სვანიშვილმა, ექსპერიმენტალი საამქროს ვეტერანმა მკერავმა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ი. გვარჯალაძემ, მოწინავე მკერავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. ირემაშვილმა აღნიშნეს, რომ ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოებამ აღაფრთოვანა კოლექტივი და სტიმული მისცა მათ უფრო თავდადებით იბრძოლონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ესოდენ დიდი დაფასების პასუხად მკერავებმა გადაწყვიტეს წლეულს ვალდებულებით გათვალისწინებულზე 200 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია გამოუშვან და დამატებით აითვისონ 16 ახალი მოდელის ტანსაცმელი, 2 მოდელს მკერავები გამოუშვებენ საპრეზიტიო ემბლემით „დამზადებულია თბილისში“.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. მენთეშაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს.

საზეი

მასების კონტროლით

ნაღდის ფასიზელი თვალი

გვერდი № 171

გაანვალმტკიცოთ კავშირი ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებთან

საჭიროა ერთობლივი მოქმედება

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების კონტაქტების გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებამ „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთმოქმედების შესახებ“.

მარტო ბოლო ერთი წლის განმავლობაში რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოებმა და საბჭოების მუდმივმა კომისიებმა ერთობლივად მოაწყვეს 54 შემოწმება, მათგან 4 შემოწმების შედეგები განიხილა რაისაბჭომ, ხოლო 6 — სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა.

მოვიყვანთ ერთობლივი შემოწმების მაგალითებს: რაიონში დამაკმაყოფილებლად არ სრულდებოდა ზემდგომი ორგანოების დადგენილება, რომელიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ეხება. საკითხი ერთობლივად შეისწავლა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილებამ. შემოწმების შედეგები რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე განიხილეს, დაისახა კონკრეტული ღონისძიება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლის შესრულებასაც სისტემატური კონტროლი დაუწესდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რაიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობები, კერძოდ, კოლმეურნეობის მეცხოველეთა ბრიგადებში მოეწყო პირსაბანები, გარდერობი, დასასვენებელი ოთახები, ყველა ქალს მიეცა სპეციალსაცმელი, მრავალ ფერმაში დაინერგა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და სხვა, რამაც, ბუნებრივია, გააუმჯობესა ქალთა შრომის პირობები და ამავე დროს დადებითი გავლენა მოახდინა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდაზე.

რაისაბჭოს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივმა კომისიამ და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შესაბამისმა შტატგარეშე განყოფილებამ შეამოწმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის (1977 წ). გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა რაიკოოპკავშირის წნორის სავაჭრო ცენტრში. შემოწმებამ ცხადყო, რომ ირღვეოდა ვაჭრობის წესები, მალავდნენ საქონელს, მახინჯდებოდა ფასები და სხვა, ამ შემოწმების შედეგებზე, რომელშიც ფართო აქტივი მონაწილეობდა, მწვავე საუბარი გაიმართა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე. აღმასკომმა რაიკოოპკავშირის სავაჭრო ცენტრის დირექტორი ს. სესიტაშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან, ხოლო ადგილებზე სხვადასხვა სახის სასჯელი დაედოთ დამნაშავე პირებს.

ერთობლივი მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ რაიონის საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუდმივ კომისიებსა და სახალხო კონტროლს. ამ მხრივ ნაყოფიერად საქმიანობენ ბოდბის, ანაგის, ნუკრიანის და ტიბაანის სასოფლო საბჭოები და მათი თავმჯდომარეები ი. მაჭარაშვილი, დ. ბაბალაშვილი, კ. ნადირაშვილი, თ. ათანელიშვილი და სხვები.

დიდი გამოცდილება დააგროვა აგრეთვე ანაგის სასოფლო საბჭომ, უკანასკნელ პერიოდში აქ მოეწყო ერთობლივი შემოწმებები და რეიდები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მიწათსარგებლობის წესების დაცვა, შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა. ამ შემოწმების შედეგები განხილულია სასოფლო საბჭოს სესიაზე, აღმასკომზე, მუდმივი კომისიების სხდომებზე, რამაც ნაყოფი გამოიღო, კერძოდ, 26 დიასახლისი ჩაება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, 4 ჰექტარი მიწის ფართობი შეემატა კოლმეურნეობის სახნავ მიწებს, წესრიგი დამყარდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში.

სახალხო კონტროლიორებთან საქმიან კონტაქტებს განამტკიცებს და ავითარებს ნუკრიანის სასოფლო საბჭო.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. ნადირაშვილი ამბობს:

— გუშაგები ჩვენ მიერ მოწყობილი თითქმის ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილენი არიან. დეპუტატები მათ თავიანთ უპირველეს თანაშემწეებად მიიჩნევენ, და ეს მართლაც ასეა. შედარებით მოკლე დროში საბჭოს მუდმივმა კომისიებმა სახალხო კონტროლის ჯგუფებთან ერთად კოლმეურნეობაზე მოაწყვეს შემოწმებები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის მოსავლის აღება, მინერალური სასუქების გამოყენების მდგომარეობა, სოფლის ტერიტორიაზე ეთილმოწყობის სამუშაოების მიმდინარეობა. ამ ერთობლივ შემოწმებებს საგრძნობი შედეგები ქონდა. თავიდან ავიცილეთ 150 ტონამდე ნამჯის და [illegible] ცვლის დანაკარგები. შემოწმების დღეებშივე 300 ტონა მინერალური სასუქი შეიტანეს ნაკვეთებში და სხვა.

ცხადია, გაწეული მუშაობის მიუხედავად ჯერ კიდევ გვაქვს გარკვეული ნაკლოვანებები. შეგვიძლია, მუდმივ კომისიებთან და დეპუტატთა ჯგუფებთან ერთად უფრო ხშირად მოვაწყოთ ხოლმე რეიდები, შემოწმებანი და დათვალიერებანი, მეტი ყურადღება დავუთმოთ ჩვენი საბჭოების მუდმივი კომისიების სამუშაო გეგმების კოორდინაციას.

რაიონის სახალხო კონტროლიორები დღეს პასუხსაგებ და რთულ ამოცანებს წყვეტენ, მუშაობაში მეტს მივაღწევთ, თუ მჭიდრო კონტაქტსა და თანაშრომლობას დავამყარებთ ადგილობრივ საბჭოებთან, მათს მუდმივ კომისიებთან.

რ. ფირაშვილი,
სიღნაღის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

პარტიული ხელმძღვანელობა — სახალხო კონტროლს

როცა საქმეს ფორმალურად ეკიდებიან

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ ებრძვის ბათუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს. ბიურომ აღნიშნა კონტროლის კომიტეტის მუშაობის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ბათუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ბოლო ხანებში უკეთ წყვეტს საკითხებს, რომლებიც ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლის გაძლიერებას ეხება.

კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა ღონისძიებათა გეგმა, იგი შემუშავდა საქართველოს „რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სასამართლო ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებთან ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 30 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად. ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის გააქტიურების მიზნით გაიმართა თათბირ-სემინარი, რომელზეც განიხილეს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საკითხებიც.

უკანასკნელ წელიწად-ნახევარში კომიტეტმა არაერთგზის განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებისათვის პასუხისგებაში მისცა რამდენიმე თანამდებობის პირი.

დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვას და მათზე რეაგირებას. შარშან და წლევანდელ 6 თვეში კომიტეტმა მიიღო 309 წერილი, რომელთაგან კონტროლი დაუწესა 341-ს, ხოლო კომიტეტის მუშაკებმა და შტატგარეშე აქტივმა განიხილეს 278 კორესპონდენცია, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლის შედეგად დაისაჯა 200 თანამდებობის პირი, მათ შორის 3 გადაყენებულია თანამდებობიდან.

სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გააქტიურეს მუშაობა. ისინი ქმედითად იყენებენ სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებებს. გაიზარდა კომიტეტზე განსახილველი საკითხების რაოდენობა. უკანასკნელ წელიწად-ნახევარში ჯგუფებმა და საგუშაგოებმა მოაწყვეს 5.480-ზე მეტი შემოწმება და რეიდი. მათგან რეიდის 2.728 მასალა განიხილეს კონტროლის ჯგუფების კრებებზე, ხოლო 1.334 — მშრომელთა ფართო კოლექტივებში.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილებაში აღინიშნა აგრეთვე, რომ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც.

სუსტად მუშაობენ ხილის წყლებისა და ლუდის, ხილდამუშავებელი, რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნების, „წყალკანალის“ ტრესტის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა, განსაკუთრებით ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს კონტროლის ჯგუფები. ისინი პარტიულ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას არ აწვდიან ინფორმაციებს, საქმით წინადადებებს და რეკომენდაციებს.

ნაკლოვანებებია აგრეთვე წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზებაში. მართალია, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ვადების დარღვევის შემთხვევათა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ხარვეზები მაინც არის. უკანასკნელ წელიწად-ნახევარში კონტროლის კომიტეტში შემოსულია 359 განცხადებიდან და საჩივრიდან 24 დიდი დაგვიანებით განიხილეს,

არის განცხადების განმეორებითი შეტანის შემთხვევები. ამის მიზეზი არადამაკმაყოფილებელი პასუხი ან საჩივრის დაგვიანებით განხილვაა.

მოქალაქე ს. ამირბეგიშვილი სამ თვეზე მეტია ბინის რემონტს ითხოვს, მაგრამ ბათუმის საქალაქო აღმასკომის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამმართველოს პასუხიც კი არ გაუცია მის განცხადებაზე. ანალოგიური ფაქტია № 1, 3, 7 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებსა და № 5 ტრესტში, რკინიგზის სადგურის სახლმმართველობაში.

„წყალკანალის“ ტრესტში მოსახლეობის განცხადებებსა და საჩივრებზე დაგვიანებით ახდენენ რეაგირებას, ბათუმის ნავთობბაზის დასახლების № 10 და 38 სახლების მობინადრეთა საჩივარი, რომელიც წყალსადენის უწესივრობას ეხებოდა. ტრესტში შესრულებულად ჩქონდათ აღნიშნული. ფაქტობრივად კი დადგინდა, რომ სარემონტო სამუშაოები საერთოდ არ შეესრულებიათ და დაზიანება მობინადრეებმა თავისი ძალებით შეაკეთეს.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ ბათუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს დაავალა დასახოს ქმედითი ღონისძიებები ბიუროკრატიზმთან და ფორმალიზმთან ბრძოლის გასაძლიერებლად, ფართოდ ჩაბას ამ მუშაობაში ჯგუფები და საგუშაგოები, ყველა სახალხო კონტროლიორი, გაუმჯობესოს შემოწმებათა მომზადებისა და ჩატარების ხარისხი, უზრუნველყოს საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, ბიროკრატიზმისა და ფორმალიზმის აღმოფხვრა მუშაობაში.

წარმოების შუაგულში

მასშტაბობა და საჯაროობა თბილისის ლენინის რაიონის კონტროლიორების პოზიციაა, რომელიც მოიწონა და განაზოგადა სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა. კონტროლიორთა საქმიანობა მტკიცედ არის დაკავშირებული გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელებასთან. ამას დამაჯერებლად მოწმობს მუშაობის შედეგები.

ქარხანა „ელექტროაპარატში“ აქტიურობენ სახალხო კონტროლიორები. აქ დაიზოგა 644 კილოკალორია თბოენერგია, 4.200 კუბური მეტრი წყალი, 437 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 9.824 კილოგრამი სამსხმელო მასალა. დაზოგილი ნედლეულით №2 საამქროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით რვა ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

სანაქებოდ მუშაობენ „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების საგუშაგოებიც, მათი საქმიანობის ნაკადი მეთოდია რეიდები „კომკავშირულ პროექტორთან“ ერთად ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსავლენად. აქ თ. არაქელოვის წინადადებით, რომელიც სახალხო კონტროლიორებთან მჭიდროდ თანამშრომლობს, 2,5 ტონა ფეროსილიციუმი დაიზოგა. წარმოების სამსახურში ახალი რეზერვების ჩაყენების მეოხებით სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ამირან გელაშვილის ბრიგადამ წელიწადში 5,2 ათასი მანეთის 54,8 ტონა ლითონი იზოგება.

სახალხო კონტროლიორების წვლილი იმაშიც არის, რომ ელექტროგაზომვამკეთებელ ქარხანაში ეკონომიის რეჟიმის დაცვით შვიდ თვეში 236 ტონა პირობითი სათბობი, 13,5 ტონა შავი ლითონი, 13 ტონა ლაქ-საღებავი, 240 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 15 ათასი კუბური მეტრი წყალი, 26 კუბური მეტრი ხეტყე დაზოგეს.

სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა წყლის ეკონომიური ხარჯვის რაიონული შტაბი, რომელიც აქტიურობს. მისი წევრების მეცადინეობით სათანადო ნამრეკი სამსახურებმა მთლიანად შეცვალეს 2.490 მეტრი მომველებული სისტემა, შეაკეთეს და გამოცვალეს მოწყობილობა.

ლენინის რაიონის სახალხო კონტროლიორთა რიგებში ხუთი ათასი აქტივისტია. ისინი ტრადიციულად „კომკავშირულ პროექტორებთან“ თანამშრომლობენ და პარტიული ორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო დახვეწონ მუშაობის ხერხები და მეთოდები.

ს. ყურაშვილი.

დაქანგული აგრეგატები

სასურსათო პროგრამის შესრულება და მეცხოველეობის პრობლემების გადაწყვეტა პარტიის ყოველდღიური საზრუნავია. საქართველოს კომპარტიის XVIII და XX პლენუმების, სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ მიმართულებას მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება, მეცხოველეობის შემდგომი განვითარება წარმოადგენს. ჩოხატაურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამას წინათ შეისწავლა მეცხოველეობის ფერმებში მექანიზმების გამოყენების მდგომარეობა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების მექანიზმების, საკვების შემამზადებელი საამქროების გამოყენებისა და მათი მოვლა-შენახვის, აგრეთვე ელექტროდანადგარებისა და ელგაყვანილობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლოატაციის საქმე ვერ არის მოწესრიგებული. კვლავ უკიდურესად დაბალია შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონე ერკეთის, ჩოხატაურის, საჭამიასერის, ვანზომლეთის, ქვენოწნის, ბუკნარის მეურნეობებში. აქ საერთოდ არ არის საკვების მექანიზებული დაგროვება, მოეწყობელია ან კაპიტალურად შესაკეთებელია ავტოსარწყულებები და ელექტროგაყვანილობა.

ერკეთის, დაბლაციხის კოლმეურნეობების ტიპობრივი პროექტით აშენებულ სადგომებში მოეწყობელია ნაკელის გატანისა და დარწყულების მექანიზმები. განახლების კოლმეურნეობაში ორ წელზე მეტია გამოუყენებელია 1200 მანეთად ღირებული ძირხვენების სარეცხ-საჭრელი, ხოლო ქვენოწნის საბჭოთა მეურნეობაში — უხეში საკვების დამაუცმაცებელი მექანიზმები.

სამი წელია უმოქმედოდ არის ერკეთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის 2767 მანეთის ღირებულების საწველი სტაციონარული დანადგარი და რძის მაცივარი. ასევე გამოუყენებელია ჩოხატაურის კოლმეურნეობაში 2375 მანეთის დანადგარ-მოწყობილობა. ამორტიზაციის გადასახადი მეცხოველეობის პროდუქტებს ყოველწლიურად 1000 მანეთამდე ეწირება და აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

რაიონის საკვების შემამზადებელი საამქროები მოწყობილია, მაგრამ ზომლეთის, ერკეთის, კოხნარის, ქვენონის მეურნეობები საკვების ნაკლებობის მომიზეზებით მათ სრული დატვირთვით არ ამუშავებენ. ფერმის მოწყობილობების დაუმონტაჟებლობა და გამოუყენებლობა ძირითადად გამოწყვეულია ობიექტების მშენებლობებისა და მონტაჟის გაჭიანურებით ან დაუმთავრებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღებით, რის გამოც წლების მანძილზე მექანიზმები ყრია და ფიზიკურად და მორალურად ცვდება.

ნ. ნუცუბიძე.

უყაირათობა არ გვეპატიება

პირუტყვის საკვების რაციონალური გამოყენება, ნაკლები დანახარჯებთ მეტი პროდუქციის მიღება ყველა მეცხოველის მუდმივი საზრუნავია.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი ხელმძღვანელები, როცა 1975 წელს გადაწყვიტეს ხარისთვალის მეცხოველეობის ფერმასთან, სადაც 500 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იზამთრებს, აეგოთ პირუტყვის საკვების ახალი საამქრო. ფერმის ტერიტორიაზე შეარჩიეს ადგილი, შეადგინეს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, შეიძინეს და შემოზიდეს საამქროს გასაამართავად საჭირო აგრეგატ-მოწყობილობანი. კოლმეურნეობას საამქროს მთელი კომპლექსი 11791 მანეთი დაუჯდა.

ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობისათვის ასეთი სოლიდური თანხის გადახდა, რა თქმა უნდა, საძნელო საქმე იყო, მაგრამ მეცხოველეები ფიქრობდნენ, რომ დროთა განმავლობაში საამქრო დანახარჯებს აანაზღაურებდა და საბოლოო ანგარიში დიდ მოგებასაც მოუტანდა საზოგადოებრივ მეურნეობას.

საამქროს აგება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებით საქსახსოფლტექნიკის მეცხოველეობის მექანიზაციის სპეციალიზებული №2 ტრესტს დაევალა. გამოზამთრებისათვის გათვალისწინებული იყო საამქროს ამუშავება.

სამწუხაროდ, მოიჯარე ორგანიზაციამ შემკვეთის თხოვნა არ შეასრულა, საამშენებლო მოედანზე იმ წელს ერთი მშენებელიც არ გამოჩენილა. გავდიდ ხანი, დავიწყებას მიეცა საშური საქმე. ვის არ მისწერა კოლმეურნეობის გამგეობამ, რა არ იღონა, მაგრამ საკვების საამქროს ამუშავებას ხუთი წლის მანძილზე ვერ იქნა და საშველი ვერ დაადგა.

შეიძლება არაფერი გვეთქვა იმ №2 ტრესტს დაევალა. გამოზამთრებისათვის გათვალისწინებული იყო საამქროს ამუშავება.

სამწუხაროდ, მოიჯარე ორგანიზაციამ შემკვეთის თხოვნა არ შეასრულა, საამშენებლო მოედანზე იმ წელს ერთი მშენებელიც არ გამოჩენილა. გავდიდ ხანი, დავიწყებას მიეცა საშური საქმე. ვის არ მისწერა კოლმეურნეობის გამგეობამ, რა არ იღონა, მაგრამ საკვების საამქროს ამუშავებას ხუთი წლის მანძილზე ვერ იქნა და საშველი ვერ დაადგა.

შეიძლება არაფერი გვეთქვა იმ ზარალზე, რომელიც ამ ხნის მანძილზე მეცხოველეობის დარგს მოუვიდა, რომ საამქროსათვის შეძენილი ძვირად ღირებული აგრეგატ-დანადგარები ერთ-ერთი ბოსლის გასწვრივ ყამირ მიწაზე, ღია ცის ქვეშ არ ეყაროს. გაფუჭდა და დაიჟანგა დიდი მატერიალური ღირებულებანი, ადამიანის ნამრომ-ნაჯაფი. ზარალობს კოლმეურნეობა, იზრდება პირუტყვის საკვების დანაკარგები. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ საქსახსოფლტექნიკის მეცხოველეობის მექანიზაციის სპეციალიზებული № 2 ტრესტის ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა კოლმეურნეობის გამგეობისა და სახალხო კონტროლის ჯგუფის მოთხოვნები.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მაძღარ გამოზამთრებას უმზადებენ პირუტყვს ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა ულიანოვკის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლები. მათ უკვე ჩაიდეს 182 ტონა სენაჟი, ბეგმით გათვალისწინებული 120 ტონის ნაცვლად.

საკვების დამზადების დღეებში დიდ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეობის სახალხო კონტროლიორები. ეფექტიანად მუშაობენ საზოგადოებრივ გუშაგთა პოსტები. ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალს საკვები კულტურების დროულად აღებას. მეცხოველეთა, საკვებმომპოვებელთა მთელი მუშაობა ასახულია სახალხო კონტროლის სპეციალურ სტენდზე.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სახალხო კონტროლიორი ეთერ ცინცაძე, კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე ილია თევზაძე და საზოგადოებრივი გუშაგი ნაზიკო ბეჟანიძე სტენდზე ათავსებენ საკვების დამზადების ცნობას.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენი ქარხნის გუშაგები

მომჭირნეობა დროის მოთხოვნაა

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანაა თანამედროვე პირობებში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება. აკი თქვა კიდევ სკკპ XXVI ყრილობაზე, რომ ჩვენი მომავალი წინსვლა დიდად იქნება დამოკიდებული მთელი არსებული რესურსების ეფექტიან და ყაირათიან გამოყენებაზე.

ჩვენ კარგად გვესმის ამ მიმართულების მთელი სერიოზულობა. რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები დიდ ყურადღებას უთმობენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობას.

ხუთასზე მეტი სახალხო კონტროლიორი ჰყავს ქარხანას. თითქმის ყველას აქვს მუშაობის საკმაო გამოცდილება. მათი შემოწმებები და რეიდები მიზნად ისახავს იმას, მიაღწიონ გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, რეზერვების გამოძებნას.

საქმისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფდა დანახარჯების ნორმის ყოველწლიურ შემცირებას და ენერგორესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას, რისთვისაც ქარხანას არაერთხელ გაუმარჯვია რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში.

და მაინც, ქარხნის კოლექტივმა შარშან ვერ გამოიყენა მთელი თავისი შესაძლებლობანი და ზედმეტი ელექტროენერგია დახარჯა. ამის გამო გამოითქვა სასესხო სამართლიანი და მკაცრი კრიტიკა.

ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივი პრინციპულად და საქმიანად მოეკიდა ამ კრიტიკას, მდგომარეობა უთუოდ უნდა გამოსწორებულიყო.

სახალხო კონტროლიორების ჯგუფებისა და საგუშაგოების რეიდებისა და შემოწმებების ძირფესვიანი ანალიზის საფუძველზე, მთავარი ენერგეტიკის განყოფილებასთან ერთად შემუშავდა და სრულდება დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები. ამასთან დაკავშირებით ქარხანაში შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიური ხარჯვის შტაბი, რომელსაც ქარხნის მთავარი ინჟინერი ხელმძღვანელობს. შტაბის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის წევრები, სახალხო კონტროლიორები. ქარხნის დირექტორის ყოველდღიურ თათბირებზე რეგულარულად განიხილავენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე ხარჯვის მდგომარეობას.

მეთაურ ჯგუფთან არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების მუდმივმოქმედი სექტორის, ყველა სახალხო კონტროლიორის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უმზაწლად არ დაიხარჯოს ელექტროენერგია, წყალი, ორთქლი, სრული დატვირთვით იმუშაონ დაზგებმა და აგრეგატებმა. ამისათვის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ფართოდ იყენებენ საჯაროობის ყველა საშუალებას; სახალხო კონტროლის სტენდებს, ადგილობრივ რადიოგადაცემებსა და ქარხნის გაზეთს.

ამ პერიოდში სახალხო კონტროლიორებმა შემოიტანეს და დანერგეს ხუთი რაციონალიზატორული წინადადება. ვ. სიხარულიძისა და შ. ბაიაშვილის წინადადებით დაინერგა ვენტილაციური გამწოვის პროგრამული მართვის სქემა, დაიზოგა 73,000 კილოვატსაათი ელექტროენერგია. ბევრი რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს ელექტროსაამქროსა და საკონტროლო გასაზომი ხელსაწყოების საამქროს სახალხო კონტროლიორებმა.

საამქროების სახალხო კონტროლიორებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მთავარი კორპუსის საამქროების ჰერმეტიზაციაში, რომ არ დარღვეულიყო კლიმატი, რომლის შექმნაზეც დიდძალი ენერგორესურსები იხარჯება.

ენერგორესურსების დანახარჯების შემცირებაში დიდი წვლილი მიუძღვით კორდის პირველი საარენი (ჯგუფის თავმჯდომარე — ჯ. ბიწკინაშვილი) და გათბობა-განიავების (ჯგუფის თავმჯდომარე — მ. ბოლქვაძე) საამქროების ჯგუფების სახალხო კონტროლიორებს.

სახალხო კონტროლიორების დიდი დახმარებით ქარხანამ მთლიანად შეამცირა ენერგორესურსების გადახარჯვა და წლის პირველ ნახევარში დაზოგა 6890 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 7279 გეკა-კალორია თბოენერგია და 112 ტონა პირობითი საწვავი.

და სავსებით ბუნებრივი იყო, როდესაც წლეულს, პირველ კვარტალში, ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვაში მიღწეული წარმატებებისათვის რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ გაიმარჯვა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ საწარმოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა მეორე ადგილი.

ა. ბიბინაძე,
რუსთავის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე.

შემოწმებამ გამოავლინა

ლანჩხუთი. („კომუნისტის“ კორ.) გაიმართა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს, თუ როგორ სრულდება რკინიგზის ლანჩხუთის სადგურში სტვირთო სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ მიღებული დადგენილება.

აღინიშნა, რომ რაიონის საწარმოთა და ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელი სათანადოდ არ აფასებს რონდების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო მნიშვნელობას, საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებს [illegible] დროული [illegible]-გადმოტვირთვისათვის, ამის შედეგად დიდია ვაგონების ზენორმატიული მოცდენები, ორგანიზებული არ არის სადღეღამისო და ორცვლიანი მუშაობა კვირის ყველა დღეს, საწარმოები და ორგანიზაციები საჭირო რაოდენობით არ გამოყოფენ ავტოტრანსპორტს და სხვა ტექნიკას. ყოველივე ამის გამო წლეულს ექვს თვეში რკინიგზის ლანჩხუთის სადგურში ვაგონების მოცდენამ 2350 საათი შეადგინა. ვაგონების ზეგეგმითი მოცდენისათვის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა 5255 მანეთი ჯარიმა გადაიხადეს. ვაგონები მოაცდინეს სოკონსერვო ქარხანამ, რაიკოოპერატივმა, დამზადების გაერთიანებამ, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ, სამშენებლო უბანმა, საშენ მასალათა კომბინატმა, ინდბინათმშენებლობამ, „სოფლქიმიამ“, კოლხეთმშენმა.

სერიოზული ნაკლოვანებებია რკინიგზის ლანჩხუთის სადგურის ტერიტორიიდან ტვირთის დროულად გატანის, სატვირთო ეზოსა და ბაქნის განთავისუფლების საქმეში. ამის გამო ექვს თვეში გაუტანელი ტვირთის წონამ 1788 ტონას მიაღწია.

ამ ნაკლოვანებებისათვის საყვედური გამოეცხადათ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის დირექტორს დ. ჩხაიძეს, ლანჩხუთის სამშენებლო უბნის უფროსს ო. ქანთარიას, ინდბინათმშენებლობის უფროსს კ. კვირკველიას, „სოფლქიმიის“ უფროსს თ. იმნაძეს, დამზადების გაერთიანების დირექტორს გ. ქანთარიას, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს გ. ბარამიძეს, კოლხეთმშენის № 3 მექანიზაციისა კოლონის უფროსს გ. ციხლაბაძეს, მშენებლობის სამინისტროს თავმჯდომარეს ვ. ხითარიშვილს.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა მუდმივი კონტროლი უნდა დაუწესონ ვაგონების დროულად დატვირთვა-გადმოტვირთვას, რკინიგზის ტრანსპორტის რაციონალურ გამოყენებას.

დაახლოებით...

ვაჭრობაში ალბათ დიდ როლს ასრულებს პირადი მიმზიდველობის ძალა. თბილი ღიმილი და ალერსიანი სიტყვა ბევრად უწყობს ხელს საქონლის რეალიზაციას და არა მარტო რეალიზაციას, არამედ იმასაც, რომ ხელთ იგდონ სასურველი საქონელი. რა თქმა უნდა, ლაპარაკია დეფიციტურ საქონელზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველას არ ჰყოფნის, ხოლო თუ კარგად მიმალავ, ვაჭრობის მუშაკებს მისი სარფიანი რეალიზაციის ფართო ასპარეზი ეძლევათ.

თავაზიანი, მიმზიდველი ადამიანის თვისებებით „გამოირჩევიან“ წყალტუბოს კურორტვაჭრობის № 32, 73 და უნივერმაღის დირექტორებიც, რომელთაც ადვილად შეუძლიათ მოიპოვონ სასურველი პირთა გულის გასაღები. განსაკუთრებით მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს მათთან № 3 სამრეწველო საწყობის გამგეს შ. ლექვთაძეს, რომელმაც დაიგიწყა ამქვეყნად ყველაფერი, გადაბიჯა თავის სამსახურებრივ რწმუნებულებას და თავის რჩეულებს დიდი რაოდენობის იშვიათი საქონლით ამარაგებს. მაგალითად, იანვარში № 32 მაღაზიას საწყობიდან მისცა 9 ათას მანეთზე მეტი თანხის 230 წყვილი იმპორტული ფეხსაცმელი. თებერვალში ამავე დაწესებულებას კვლავ უბოძა დიდი რაოდენ

...როფკავშირები: ...არშეა დათვალიერება

...ართველოს პროფკავშირ-...დაიწყო საანგარიშო-საარ-...კამპანია, რომელიც 1982 ...ანვარში დამთავრდება ...ბლიკის პროფესიული კავ-...ის XVII ყრილობით.

...ნგორმის კორესპონდენტის ...ნთ საქართველოს პროფს-... თავმჯდომარე თ. ი. მო-...ელი გვესაუბრება ახლანდ-...საანგარიშო-საარჩევნო კა-...ის თავისებურებების, რეს-...ლიკის პროფკავშირული ორ-...ციებმის წინაშე მდგომი ამ-...ების შესახებ.

საქართველოს პროფკავში-...ყრილობა და ანგარიშგება-...ნებები, რომლებიც მას წინ ...ის, — თქვა თ. ი. მოსაშვ-... — ჩაიკლის იმ პერიოდ-...როცა ჩვენი რესპუბლიკის ...მელები სულ უფრო აქტიურ-...ს მუშაობას, ითვალ ხორცი-...ან სკკპ XXVI ყრილობისა ...საქართველოს კომპარტიის ...ყრილობის გადაწყვეტილ-... მითითებებს, რჩევა-დარი-...ს და რეკომენდაციებს, ...ებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრე-...ვ გამოთქვა თბილისში გა-...ულ საიუბილეო ზეიმზე გა-...ისას. ანგარიშგება-არჩევ-...დროს გულდასმით და ...ომხრივ უნდა განვაზოგად-...ბ ბრძოლის შეძენილი გა-...ილება, რომელსაც პროფ-...ული ორგანიზაციები ეწევ-...წარმოების ეფექტიანობისა ...უშაობის ხარისხის ამაღლე-...მეცნიერულ-ტექნიკური პრო-...ს დაჩქარების, მშრომელთა ...ოიერული და სოციალ-...-კულტურული მოთხოვნი-...ბის უფრო სრული და-...ფილებისათვის. პროფკავ-... კომიტეტები და საბ-...ი ჩაამარებენ ანგარიშს იმ ...ბის შესახებ, რომელიც ...ბლიკის პროფკავშირთა წი-...ლობის შემდეგ განვლილ ...ში გასწიეს.

...ანგარიშო-საარჩევნო კამპანია ...ი პროფკავშირული ჯგუფ-... კრებებით, ასევე ჯგუფების ...ი კი რესპუბლიკაში ამჟა-...48 ათასს სჭარბობს. თითქმის ...როულად დაიწყო საამქრო ...ტებებისა და პროფბიურო-... ანგარიშგება-არჩევნები, ...ლთა რიცხვი დღესდღეობით ...თასს აღემატება. ამიტომ პრო-...ძირთა საფაბრიკო-საქარხ-...და ადგილობრივმა კომიტე-...ბ მათ ყოველმხრივ დახმარ-...უნდა გაუწიონ კრებების მო-...ებასა და მოწყობაში, უზრ-...ყოონ სამეურნეო ხელმძღ-...თა აქტიური მონაწილეობა ...ონისძიებებში.

...საუთრებულ ყურადღებას ...ოვენ ბრიგადების — „შრო-... კოლექტივების პირველადი ...ების პროფკავშირული ...ები, უნდა ვიღვაწოთ, რა-...ყველგან განუხრელად სრუ-...ბოდეს პროფჯგუფორგან-...ი დებულების მოთხოვნები, ...ე მკაფიოდ არის განსაზღვ-...ი მისი უფლება-მოვალეო-... ბრიგადის უფლებათა გაფ-...ების გათვალისწინებით.

...ანასწინო წლების მანძილ-...ითმეშის 400 ათასი კაცი შე-...ა სოფლის მეურნეობის მუ-... პროფკავშირის რიგებს. ...ოლის პროფკავშირულ ორგან-...ება უშუალოდ შრომითი კოლექ-...ტივების წინაშე, რაც შესაძლ-...ებლობას იძლევა არა მარტო სრულ-...ად გააცნონ მშრომელებს ამ ...ორგანოების საქმიანობა, არამედ ...აგრეთვე მრავალმხრივ გაითვალ-...ისწინონ საზოგადოებრივი აზრი, ...უფრო ღრმად შეისწავლონ საქ-...მის მდგომარეობა ადგილებზე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებ-...ებსა და კონფერენციებზე ყოველ-...ლმხრივ უნდა გავაანალიზოთ, ...თუ რა მუშაობას ეწევიან პროფ-...კავშირები იმისათვის, რომ ხორ-...ცი შეესხან სკკპ XXVI ყრილო-...ბისა და საქართველოს კომპარტ-...იის XXVI ყრილობის გადაწყვე-...ტილებებით დასახულ სოციალ-...ურ-ეკონომიკურ პროგრამას, დარაზმონ რესპუბლიკის მშრომ-...ელები 1981 წლის საგეგმო და-...ვალებებისა და სოციალისტური ...ვალდებულებების უთუო შესრ-...ულებისათვის.

ანგარიშგება-არჩევნების დროს ...დეტალურად უნდა გავიხილოთ, ...თუ რა მონაწილეობას იღებენ ...პროფკავშირული ორგანიზაციები ...ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ...საკითხთა გადაწყვეტაში, როგორ-...იც არის სამუშაო დროის და-...ნაკარგების, კადრების დენადო-...ნის შემცირება, მანქანა-მოწყობ-...ილობის, აგრეგატების გამოყენ-...ების გაუმჯობესება, შრომის ნა-...ყოფიერების ზრდა, პროდუქციის ...მასალათტევადობის შემცირება, ...მოწინავე გამოცდილების, პატრ-...იოტულ თაოსნობათა გავრცელ-...ება.

საქმის ბედს ადამიანები წყვეტ-...ენ. შრომისადმი მათს დამოკიდ-...ებულებას მნიშვნელოვანწილად ...განსაზღვრავს ყოველდღიური ...ყურადღება თითოეული მუშა-...კის მიმართ, კონკრეტული ზრუნ-...ვა მისი შრომისა და ყოფა-...ცხოვრების პირობებისა თვის. ...ამიტომ საანგარიშო-საარჩევნო ...კამპანიის პერიოდში მაქსიმა-...ლურად უნდა გამოვიყენოთ ყო-...ველივე დადებითი, რაც შეძენილი ...გვაქვს შრომის, ყოფა-ცხოვრების ...პირობების გაუმჯობესების, სამე-...დიცინო მომსახურებისა და საზო-...გადოებრივი კვების, მშრომელთა ...მკურნალობისა და დასვენების ორ-...განიზაციის საქმეში.

რესპუბლიკის პროფკავშირები ...თავიანთ მორიგ XVII ყრილობას ...იდეურად და ორგანიზაციულად ...განმტკიცებულნი ხვდებიან. საქარ-...თველოს პარტიული ორგანიზაციის ...პრინციპულმა მოზანმიმართულმა ...ბრძოლამ, რომელიც რესპუბლიკის ...სახალხო მეურნეობისა და საზოგა-...დოებრივი ცხოვრების ყველა სფე-...როში გაჩაღდა საქართველოს პარ-...ტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ...ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ ...დადგენილებათა შემდეგ, და-...დებითი გავლენა მოახდინა აგრეთ-...ვე პროფესიული კავშირების საქ-...მიანობაზე. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით პროფკავშირებმა შეძლეს ...ღირსეული ადგილი დაეკავებინათ რესპუბლიკის პოლიტიკურ, სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ...ანგარიშგება-არჩევნების დაწყებული კამპანია, საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის სამზადისი ახალი ძალით ცხადყოფს, თუ რაოდენ ორგანიზებულად და აქტიურად იღვწის პროფკავშირი — კომუნისტური პარტიის საიმედო ბურჯი და ერთგული თანაშემწე მის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობაში. (საქინფორმი).

...ითოეული ჩვენგანის ...აზრუნავი

ბრაზილიის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია თბილისში

...ბ, ბრაზილიელებს, არ გა-...ოცდია მეორე მსოფლიო ომის ...ელებანი. მაგრამ კარგად ვი-... თუ რა უზარმაზარი მსხვერ-... ფასად გადაარჩინეს საბჭოთა ...ომა, სხვა ქვეყნებმა კაცობ-...ა ფაშისტური ჭირისაგან. ...ობა საერთო საზრუნავი, ...ოეული ჩვენგანის საზრუნავია. ...ოდ ამტომ, ჩვენ, ისევე, რო-... ყველა კეთილი ნების ადა-..., მთლიანად და სავსებით ...ერთ მხარს თქვენი ქვეყნის ...ვიდობო ინიციატივებს, რო-...ა მიზანია გამალებული შეიარ-...ების ალაგმვა, ნეიტრონული, ...ბრივი მოსპობის სხვა იარა-... წარმოების აკრძალვა, — თქვა ...ფორმის კორესპონდენტისთ-...ციემულ ინტერვიუში ბრაზი-... პრესის ასოციაციის ვიცე-...ზიდენტმა რობერტო პომნეუ ...ოზამ. იგი ერთ-ერთი წევ-... ბრაზილიის მშვიდობის მომხ-...რეთა დელეგაციისა, რომელიც ...ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშ-...ირის მშვიდობის დაცვის კომიტ-...ტის მოწვევით იმყოფება.

სამი დღის განმავლობაში დელ-...გაცია, რომელშიც არიან ბრაზილი-...ის ადვოკატთა ორდენის პრეზიდ-...ენტი ჟოზე ბერნარდუ კაბრალი, ...რიო-დე-ჟანეიროს შტატის მშვი-...დობისა და სამართლიანობის კო-...მისიის წარმომადგენელი პაულო ...დე ალმეიდა ამარალი და ამ შტა-...ტის საკანონმდებლო ასამბლეის ...დეპუტატი ჟოზე ალვეს დე ბრიტუ, ...სტუმრად იყო საქართველოში. ...დელეგაციის წევრები გაეცნენ ...რესპუბლიკის წარსულს და აწმყოს, ...მისი მშრომელების მოღწევებს, ...რომლებიც წარმატებით ახორციელ-...ებენ სკკპ XXVI ყრილობის გა-...დაწყვეტილებებს. ბრაზილიელმა ...სტუმრებმა დათვალიერეს თბი-...ლისის ღირსშესანიშნაობანი და ...ახალშენებლობანი, იყვნენ მცხე-...თაში. ისინი ესტუმრნენ გარდაბ-...ნის რაიონის ვარკეთილის მეხილ-...ეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურ-...ნეობას.

გამგზავრების წინადღეს ბრაზ-...ილიის მშვიდობის მომხრეთა დელ-...ეგაცია მიიღეს საქართველოს სსრ ...უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სტუმრებს მიესალმა რესპუბლი-...კის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-...მის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. ...სირაძე. მან აღნიშნა, რომ სსრ კავ-...შირში ბრაზილიის უდიდესი საზო-...გადოებრივი ორგანიზაციების ხელ-...მძღვანელთა ვიზიტი, რომლებიც ...აქტიურად იღვწიან თავიანთი ქვეყ-...ანაში დემოკრატიზაციის პროცე-...სების გაღრმავებისათვის, მთელი ...მსოფლიოს მშვიდობისათვის, ღირ-...სეული წვლილი იქნება ჩვენი ხალ-...ხების ურთიერთგაგების გაუმჯ-...ობესებაში.

ბრაზილიის დელეგაციის წევრთა ...სახელით გამოსულმა რობერტო ...პომნეუ დე სოუზამ გულითადი ...მადლობა გადაიხადა და თქვა, რომ ...ბრაზილიელი ხალხი ესწრაფვის ...მეგობრობასა და ურთიერთგაგებას ...საბჭოთა კავშირის ხალხთან.

შეხვედრას დაესწრნენ საქართ-...ველოს მშვიდობის დაცვის რეს-...პუბლიკური კომიტეტის თავმჯდომ-...არე ა. დ. ალექსიძე, საქართველ-...ოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზ-...იდიუმის საქმეთა მმართველის ...მოადგილე ჰ. ა. ჭიპაშვილი.

(საქინფორმი).

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკრებულოს დიდებულ ზურგზე

საკრებულოს დიდ ამბებს საკმაოდ ...ბევრ ...ბ ...ბ ...ბ

FIDE
GENS UNA SUMUS

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲔᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲓᲠᲘᲜᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. 41-Ე ᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲝᲗᲠᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲔ ᲜᲝᲕᲝᲡᲢᲘᲡ“ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲔ ᲜᲝᲕᲝᲡᲢᲘᲡ“ (ᲗᲐᲒᲠᲔᲑᲘ) ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Ვ. ᲛᲝᲠᲐᲐᲒᲝᲓᲐᲜ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) ᲘᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ, ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲠᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲢᲩᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲢᲘᲡ ᲐᲨᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ